წელიწადი მეორე ფასი 10 კაპ. კვირა, 9 ნოემბერი 1916 წ. № 224

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით (ერთი გვერდზე პეტიტით ცერილის 15 სტრიქონამდე)—10 კ., კვირა-დღეებში გარეშე ბიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს უველგან 10 კაპ.

სამშაბათს, 11 ოქტომბერს, გარდაცვალების წლის თავზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი კალოუბნის ეკლესიაში

ნარიამ იოსების ასულის კოკაიევისა

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარენი ბით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილი ნიკოლოზ ქ-ტესას ძე და რძალი მარგარიტა ესტატეს ასული. წირვა დაიწყობა 9½ საათზე. წირვის შემდეგ პანაშვიდი.

(1—359—1)

თბილისის გუბერნიის თავად-აზნ. წინამძღოლი

აუწყებს თავად-აზნაურთ, რომ

თავად-აზნაურობის საგანგებო კრების

გაბრძანებას,—სახელმწიფო საბჭოს წევრთა ორის ამომრჩევლის ასარჩევად,—დანიშნულია

კვირას, 9 ამა ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ,

თავად-აზ. დეპუტ. საქრებულოს დარბაზში.

(2—260—2)

კავკასიის სამთამადნო მართველობა

ამით აცხადებს, რომ მისი

უმაღლესობის მეფის ნაცვლის

და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით

თხუთმეტს (15) ოქტომბერს ქუთაისში დანიშნულია შორაპნის მაზრის შაორის მრეწველთა მე-18 (საგანგებო) კრება კავკასიის 1-ლი სამთამადნო ოლქის ინჟინერ-სტატსკი ოვეტნიკის აბრამ გრიგორის ძე ცეიტლინის თავმჯდომარეობით, შემდეგი საკითხების განსახილველად:

1) კრების მდივნის არჩევა.

2) შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შაორის ქვის მრეწველთა კრებას მიეცეს უფლება, როგორც გამონაკლისი შაორ ქვის მრეწველთა კრების წესდებიდან, შეიძინოს კელზეკარხენის საზოგადოების და კავკასიის სამადნო ამხანაგობის წარმოება, და ამ მიზნით აიღოს საჭირო სესხი.

3) რკინის გზით გატანილ შაორ ქვაზე საფუთო გადასახადის ნახევარი კაპიკით გადიდება კრების საბჭოს ვალების გასასტუმრებლად.

საჰირო გაზეთის დამფარებელი

იძებნება „საქართველოს“ კანტორაში (მოსკოვის ქ. № 4)

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 10 ღვიობისთვიდან 16 ღვინობისთვემდე.

ორშაბათი—სეზონის დასაწყისი. ოპერეტე. ბილეთები 30 კაპ.—1მანეთამდე.
სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით. ბილეთები 50 კაპ.—30 კ.-მდე.
ოთხშაბათი—სინემატოგრაფი.
ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა. ბილეთები 50 კაპ.—30 კაპ.-დე.
პარასკევი—ოპერეტტე. ბილეთები 50 კაპ.—30 კაპ.-დე.
შაბათი—კონცერტი სიმებიანი ორკესტრისა.
კვირა—წარმოდგენა რუსულ ენაზე. ბილეთები 50 კა.—30 კ.-დე.

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ წარმოდგენ. 8½ საათზე.
„ სინემატოგრაფისა 8½ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მ. მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ.

(1—201—1)

სახალხო სახლი

სეზონის დასაწყისი.

ოთხშაბათს, 12 ღვინობისთვეს თბილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის

I. **მსხვერპლი** პირველი და მესამე მოქმედება.

II. **გულმა იგრძნო** კომ. 1 მოქ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი ალ. წუწუნავა.

(3—202—1)

„ფრანციის“ ნოემბრის ძვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროშკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარჩით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253—16) დიმიტრი უჩ. გიზიბერია და ნ. ზ. ჟურთაური

ექიმი ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (ბჭობა), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს

სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი

დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის.

თუმანოვის შესახვევი, № 24.

(თ. 343—11)

ექიმი-დოქტორანტი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახლადმიანისა

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დ. ზესტაფონში

ექიმი დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

როგორც ქუთაისიდან დეპეშით გვატყობინებენ თავად-აზნაურობის საგანგებო კრების დიდს უმრავლესობას სა-გუბერნიო წინამძღოლის თავად დ. ნიჟარაძის წინადადება მიუღია და გადაუწყვეტია სათავად-აზნაურო გიმნაზიის პარალელი კლასები კომერციულ სასწავლებლად აქციოს. ამ ცნობას ჩვენი მკითხველები სიამოვნებით წაიკითხავენ. ის მოწმობს, რომ ნელნელა ინგრევა უკანასკნელი სიმაგრეები ყალბათ გაგებული კლასიკური განათლებისა და თვით ჩვენი „ბრწყინვალე წოდება“ სპეციალი განათლების საჭიროებას იგნებს.

მკითხველმა იცის, რომ ჩვენი ორგანო არაა წინააღმდეგი კლასიკური ანუ ჰუმანისტური სწავლა-განათლებისა. ძველი და თანამედროვე ლიტერატურისა, ისტორიისა და მათემატიკის ცოდნა, რასაც კლასიკური გიმნაზიები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ, უეჭველად საჭიროა დამთავრებული და ჰარმონიულად განვითარებული ადამიანისთვის; უამისოდ შეუძლებელიცაა ფაქიზი და მაღალი კულტურის წარმოდგენა. მაგრამ ჩვენს სამშობლოში კლასიკური განათლებისადმი მისწრაფებამ სამწუხაროდ ცალმხრივი და მახინჯი სახე მიიღო. მთელი ქვეყანა კლასიკური გიმნაზიების ქსელით მოიფინა; ასეთი გიმნაზიები გაიხსნა მიუხედავად სამაზრო ქალაქებში და დაბებში, ბოლო დროს სოფლებმაც კი მოინდომეს გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების ან კიდევ საგიმნაზიოდ მოსამზადებელი სასწავლებლების გახსნა. შეიცვალა ვითარება, სადაც თითქმის ორჯერ მეტი სული ცხოვრობს ვიდრე საქართველოში და სადაც პირველ დაწყებითი სწავლა-განათლება შვიდი თუ რვა წლის განმავლობაში ყველასათვის სავალდებულოა, შედარებით ნაკლები სავაჟო და საქალებო კლასიკური გიმნაზია არსებობს ვიდრე ჩვენში. სახაზინო გიმნაზიებს გარდა ჩვენ გვაქვს ქუთაისის და თბილისის ორ-ორ კომპლექტიანი სათავად-აზნაურო სასწავლებელი და რამოდენიმე კერძო გიმნაზია, რომელთა შენახვა სავსებით ქართველ საზოგადოებას აქვს ნაკისრები. ეს კი ჩვენი შეხედულებით სრულიად უკუღმართი მოვლენაა. რაც უნდა იყოს, კლასიკური თუ ჰუმანისტური განათლება ერთგვარი კომფორტია, განსაკუთრებით ისეთი ღარიბი და უკანჩამორჩენილი ერისთვის როგორიც ქართველობაა. ჩვენ ჯერ კიდევ წერა-კითხვის სკოლები არ მოგვეპოება საკმაოდ, ჩვენში ჯერ კიდევ ერთი ხეირიანი პროფესიული, სატეხნიკო და სამეურნეო სასწავლებელიც არ არსებობს და ამავე დროს ასი ათასები იხარჯება მრავალრიცხოვან კლასიკურ გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებზე.

საყურადღებოა ისიც, რომ ამ საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთა დიდს უმრავლესობას უღარიბესი ელენტები წარმოადგენენ, რომელთაც ხშირად სახელმძღვანელოებისა და რვეულების ფულიც კი არ გააჩნიათ: ეს მომავალი „ჰუმანისტები“ აუტანელ ჰიგიენურ და სანიტარულ პირობებში იმყოფებიან, უჰაერო და უსინათლო ოთახებში სცხოვრობენ, სანახევროდ მშიერ მწყურვალნი არიან და ღონემიხდილნი ან სრულიად ვეღარ ამთავრებენ კურსს ან სომწიფის ატესტატს დაავადებული მთრთოლვარე ხელებით ღებულობენ. რა გამოსადეგნი არიან ასეთი ადამიანები ჩვენი ეროვნული კულტურისთვის ან თანამედროვე შრომაგი საარსებო ბრძოლისათვის, რომელიც ამდენ ენერგიას და სიცოცხლის ძალას ითხოვს. უმეტეს შემთხვევაში ეს ყოფილი „კლასიკოსები“ უიმედო და მელანქოლიურ მოხელეებად ხდებიან და უფერულად ღევენ თავის დღეებს.

ყველაზე მეტი თაყვანისმცემელი ამ კოკარდების ფაბრიკაციას, კლასიკურ გიმნაზიათ წოდებულს, სწორედ ქართველ თავად-აზნაურობაში ჰყავდა და საყურადღებო სიმპტომათ უნდა ჩაითვალოს, რომ ქუთაისის საგანგებო კრებას განუზრახავს ქართული გიმნაზიის პარალელი კლასების კომერციულ სასწავლებლებად გადაკეთება. როგორც სჩანს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილება გასაგები ხდება ჩვენი საზოგადოების უფრო პრივილეგიური წრეებისთვისაც.

აღსანიშნავია მხოლოდ ერთი გარემოება. ქუთაისში უკვე არსებობს საშუალო კომერციული სასწავლებელი. მეორე ამგვარივე სასწავლებლის დაარსება აუცილებელ მოთხოვნილებას არ უნდა წარმოადგენდეს. ჩვენ დღეს რასაკვირველია განათლებული კომერსანტები დიდათ გვჭირია. მაგრამ საქართველოსთვის არა ნაკლებ საჭიროა მცოდნე მეურნეები და ტეხნიკოსებიც. ამიტომ, ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუ შესაძლებელია ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან საშუალო სამეურნეო ან სატეხნიკო სასწავლებელი დაარსდებოდეს.

ვ. ლელიანი.

პოლონიზაცია საქართველოში *)

ვარანცოვ-დაშკოვის მეფის ნაცვლობის დროს რუს იმიგრანტთა რიცხვის ერთი ოთხად გამრავლება მით უნდა აიხსნას, რომ გრაფი „განსაკუთრებულ მზრუნველობას“ იჩენდა ახალმოსახლეების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად... ტყის გაჩეხა, გაკორდებული მიწის გაწმენდა, უწყინარი ბინის და სამეურნეო შენობათა აგება—მეტად საძნელოა; საზოგადოდ, უცხო ჰავის, მიწის და მცენარეულობის შეუჩვეველ პირობებში მეურნეობას უდამ მარცხი თან სდევს. „მთავრობის დაუხმარებლად გადმოსახლებულნი ვერ გაუძლებდნენ ახალბინადრობის მძიმე პირობებს“, და აი ამიტომაც ვარანცოვის მიერ დაარსებული საკოლონიზაციო მართველობა ფულს არ ჰზოგავს რუს იმიგრანტთა ხელის შესაწყობად. მარტო სახლების მოსაწყობად ამ შვიდ წელიწადში დაურიგებიათ 985.570 მანათი. არ დანანებია მთავრობას არც საკუთარი ხარჯით გზების გაყვანა: უკანასკნელ ცხრა წლის განმავლობაში 1.126.142 მანათი მას გაუღია მხოლოდ შავი ზღვის პირის გზისთვის... ასევე უხვად იხარჯება სახელმწიფო ფული გადმოსახლებულთა სულიერ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად: სკოლების და ეკლესიების საშენებლად ამ ექვს წელიწადში 586.443 მ. გაუღიათ... გარდა ამისა მთავრობავე აწვდიდა იმიგრანტებს მელიორიზაციისათვის, აგრონომიისათვის და აგრეთვე მრეწველობისათვის საჭირო საშუალებას: წისქვილები, ბამბის საჩენჩი და ყველის შემადედებელი ქარხნებიც კი გაუწყვიათ მათთვის...

მაგრამ ყველაზე უფრო ძვირად რუსეთის სალაროს უზის გადმოსახლებულთა ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვა; საბედისწეროდ, სწორედ საკოლონიზაციოდ დანიშნულ შავი ზღვის პირას და მუღანლოში ბატონობს რუსი ჯარისკაცების და იმიგრანტების მუსრის გამვლელი მალარია,—ჩვენებური დამბალი ციება; რუსის ტყირპი და ღვიძლი ვერ იტანს „უქმურს“ ისე იოლად, როგორც, მაგალითად, მეგრელისა ან იტალიელისა; სტატისტიკურ ცნობებით, კავკასიური მალარიით ავადმყოფთა და მიცვალებულთა სამ მეოთხედს სწორედ რუსობა შეადგენს. ამიტომ საკოლონიზაციო მართველობის ფინანსიურ ძალღონის მეტი წილი სწორედ მალარიას ეწირება; ეს ხარჯი წლითი წლობით იზრდება: თუ 1908 წელს იგი 67.228 მანეთს უდრიდა, 1912 წელს უკვე 202.500 მან., 1914 წელს კი 322.938 მანეთათ გადაქცეულა; სულ ამ შვიდ წელს 1.159.431 მანეთი დახარჯულა... ამ დროის განმავლობაში ავადმყოფ მალარიკებს 268.549 ჯერ მიუმართავთ ექიმებისათვის... 1912 წლიდან კავკასიის საკოლონიზაციო მმართველობას ეხმარება ცნობილი პიროგოვის სახელობის საექიმო საზოგადოების სამალარიო კომისია, რომელმაც საგანგებო რაზმებიც მოაწყო შავი ზღვის პირ და მუღანლოს „უქმურის“ გამოსაკვლევად და დასაძლევად, მაგრამ მალარია მაინც ძველებურად ბატონობს—მის მოსასპობად მილიონებიც კი არაა სათქმელი.

—

უცხოელთა იმიგრაცია მწვავედ ეხება ქართველთა ეროვნულ ინტერესს, რადგან თვით „კავკასიის გადმოსახლებულთა ორგანიზაციის“ მოხსენებით, საკოლონიზაციო ფონდის შექმნის დროს იმას არა სჯიან, თუ რანაირად გადაწყვეტილ სახაზინო მიწების ბედთან მკვიდრ მცხოვრებთა ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა... საქართველოში „თავისუფალ“ მიწას რა უნდა, როდესაც თვით ქართველი გლეხობა მეტისმეტად მამულნაკლებია და უმიწოწყლო; იმერეთში მიწის სივიწროვით დახუთულია მიწის-მომმუდი ერთი მესამედი... ახალ ჩამოსახლებულთ ექვსი და შვიდი დესეტინა ურიგდება, ამერეთის და იმერეთის გლეხს კი, ოფიციალი სტატისტიკით ორი დესეტინა სახნავიც არა აქვს და ამ სახნავში ნაანგარიშევია გზები, ქვიანი ადგილი, მიჯნები, ღელეები... გაბრაყვებული და პაპაცლიაციით შეშუნებული ქართველი გლეხობა დიდი ხნის მოწყობილი იქნებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს განაპირა არე-მარეში, რომ ამ ბუნებრივ მიგრაციას წინ პოლიტიკური პირობები არ ეღობებოდნენ... შავი ზღვის პირის მიწები ქართველებს იჯარითაც კი არ ეძლევა; ვინც უკვე ჩასახლდა, იმათ ძალით ჰყრიან ადგილიდან. ასე ეჰყარეს აბხაზეთში, სოხუმის ახლო, ფარნაუთში და დალის ხეობაში ჩასახლებული მეგრელები და სვანები... ასევეა დაცული მკვიდრთა ეკონომიური და უფლებრივი ინტერესები აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მეორე ჯერის საკოლონიზაციო ფონდისათვის შირაქის ველი ამოუღიათ თვალში, ის ველი, რომელიც ძველადგანვე ქიზიყელთა და თუშთა სახნავ-სათესი და ჯოგფარის საძოვარია.

საზოგადოდ „თავისუფალი“ მიწების საკოლონიზაციოდ გარდადება შეუწყნარებელია, სანამ საერთო გამოჯვნა არ დასრულებულა, თორემ ახლა ნახევარზე მეტი მიწა საცილობელ საგანს შეადგენს... მაგრამ რუსთა იმიგრაციაში ხომ პოლიტიკური მოტივი სჭარბობს... როდესაც უწინდელ პეტერბურღში სახაზინო გლეხთა ცხოვრების მოსაწყობად საგანგებო კომისიის მუშაობა სწარმოებდა, მიწათმოქმედების მინისტრმა პირდაპირ განაცხადა: „ამიერ კავკასიაში რუსთა კოლონიზაციას დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს და ეს საქმე რაც შეიძლება მალე უნდა მოგვარდეს, იგი უფრო წინა რიგში უნდა დავაყენოთ, ვიდრე მკვიდრ მცხოვრებთა მიწით უზრუნველყოფაო“...

ამგვარად, საკოლონიზაციო ორგანიზაციის და აგრეთვე სახელმწიფო საგლეხო ბანკის მიერ შეკრებილი მიწის ფონდი დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში დაკარგულია ქართველი გლეხისათვის... შესაძლოა, ომის დასრულებისას, მისი მცირე ნაწილი მაინც დაურიგონ ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ქართველ ვეტერანებს, მაგრამ ჯერ ხნობით ამერეთ-იმერეთის გლეხთა მიგრაცია მხოლოდ ქართველთა ეროვნულ კაპიტალის მოქმედებაზეა დამოკიდებული.

გრ. ვეშაპელი.

*) დასასრული № 222-ს ნაწერისა.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში ხაუცხოო ნამდვილი

კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.

——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———

(185—წ.)

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

გერმანელების და ავსტრიელების მიერ დაწყებული ოპერაცია რუმინეთის ასპარეზზე ცხადს ჰყოფს მათ განზრახვას. მთელს მათს არმიას ორიმთავარი მიმართულება აქვს. ჩრდილოეთით მომქმედი არმია თავისი მარჯვენა წვერით ცდილობს მდ. ბუზეულის ნაპირებით შეიჭრას რუმინეთის ტერიტორიაში და ქ. გალოტის მიმართულებით მთელი რუმინეთის მოლდავანა ხელში ჩაიგდონ. სამაგიეროდ ჩრდილოეთ დასავლეთის ბრძოლის ველზე მდგომი ავსტრიელების და გერმანელების არმია ტრანსილვანიაში პრედეალის კარების ჩაგდებას ესწრაფვის. თუ კი ნამდვილათ მოახერხა მოპირდაპირემ ტრანსილვანიის ალპების გადმოლახვა, მაშინ ეს მეორე მათი არმია სამხრეთით დაეშვება, გადალახავს ბუქარესტით მთელ რუმინეთს და შეეცდება შეუერთდეს დობრუჯში მომქმედ მაკენზენის არმიას. ოპერაცია შეტის მეტად მარტივია და საშინელი თავისი შედეგით. ადვილად შესაძლოა რუმინეთი სრულებით მოისპოს, თუ მოკავშირეებმა დროზე ხელი არ შეუწყეს და სამაგიერო ოპერაცია არ გაუჩაღეს გერმანელებს. რუმინეთის დაპყრობით გერმანელები და ავსტრიელები დიდათ გამარჯვებული დარჩებიან. მარტო ის რად ღირს, რომ აუარებელიბრძოლის ხაზი, სადაც მრავალი ჯარი ჰყავთ დაბანდებული, საშინლად შემცირდება და საშუალებაც მიეცემა საითაც მოისურვებს იქითკენ უყოს პირი გამარჯვებულ და მასთანაც გათავისუფლებულ ჯარს. ჩვენ დარწმუნებული ვართ მოკავშირენი არასოდეს ამ მდგომარეობამდე არ მიიყვანენ რუმინეთს.

გუშინდელი ოფიციალი დეპეშა გადმოგვცემს, რომ აღმოსავლეთ ასპარეზზე ბრძოლას უფრო მკაცრი ხასიათი მიუღია. ახლა თვით გერმანელები ცდილობენ ხელთ იგდონ ინიციატივა და ოპერაციის მიდამო გააფართოვონ. საშინელ საარტილერიო ცეცხლის შემდეგ მოპირდაპირეს გაშმაგებული იერიში მოუტანია სვისტელნიკის სამხრეთით. ბრძოლა ჯერაც არ გათავებულა და ჩვეულებრივ სიმკაცრით სწარმოებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერმანელები რუმინეთში მოქმედების გასაადვილებლად რუსეთის წინააღმდეგ ფართო ოპერაციის წარმოებას დაიწყებენ. საუბედუროდ დასავლეთის ასპარეზი მათ იმდენად უწყობს ხელს, რომ შეუძლიათ ჯარების გადმოყვანა და შესაფერისად გამოყენება. თუ ჩვენი მოსაზრება მართალი გამოდგა მაშინ ორ მთავარ საოპერაციო ბრძოლის ველთან გვექნება საქმე: რუმინეთის და გალიციისა. უკანასკნელნი სტრატეგიულად ახლა გაერთიანებულად უნდა ჩაითვალოს. ვლადიმერ-ვოლინით და რუმინეთის ჩრდილო-დასავლეთით იერიშების წარმოება—ეს ერთგვარად წვერებით შემოვლა იქნება იმ ჯარისა, რომელიც მოქმედობს როგორც ბუკოვინიდან კარლიბაბამდე ისევე მთელ რუმინეთში. საზოგადოდ აღმოსავლეთ ასპარეზით ბრძოლის კრიზისი უმთავრეს წერტილამდე ავიდა. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ბალკანეთის ბედი ბალკანის გადაწყვეტა ისევე რუსეთს ხვდა წილად. ახლაც რუსეთის ხელშია დაწყებულ ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება და რუმინეთის ხსნა.

X.

ომის დეპეშები

8 ღვინობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პატროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. კისელინის ჩრდილოეთით მედგარი ბრძოლაა. კუროპატნიკის ჩრდილოეთით მოპირდაპირე თავგანწირვით გვიტევს, მაგრამ უშედეგოდ. ზარბაზნების მედგარი სროლის შემდეგ მოპირდაპირე შეჯგუფებული რაზმებით გამოექანა ჩვენი სანგრებისაკენ სვისტელნიკის სამხრეთით. ბრძოლა გრძელდება. დორნა-ვატრის სამხრეთით მოპირდაპირემ შეტევა დაიწყო და იერიშები მოაქვს. ლამუასტელის მთის ჩრდილოეთით შეტევა დავიწყეთ და რამდენიმე მაღლობიდან მოპირდაპირე გავდევნეთ. აქ ხელთ ვიგდეთ 4 ტყვიის მფრქვეველი და ტყვეები.

კავკასიის ასპარეზი. სპარსეთში ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა ვიჯარის და მის მიდამოებში ვაჟკაცური ზვერვა მოახდინეს. დამბორის ქედთან დავარბიეთ მარილით დატვირთული ქარავანი, ხელთ ვიგდეთ ბევრი ცხენი და იარაღი.

დობრუჯი. 7 საათზე მოპირდაპირემ ზარბაზნის სროლა გააჩაღა და მერე შემოგვიტია. მტრის იერიში მოვიგერიეთ და დიდი ზიანიც მივაყენეთ. ბრძოლა გრძელდება.

შავი ზღვა. ბოსფორის არე-მარეში ჩვენმა წყალქვეშამ ოსმალეთის 2 გემი დაღუპა.

7 ღვინობისთვე.

ლონდონი. ათინიდან 4 ღვინობისთვის თარიღით იტყობინებიან: მოკავშირეთა კონტროლის უფროსმა გზათა მინისტრს წერილობით მოსთხოვა ადმირალ ფურნიეს სახელით, მოკავშირეებს 200 ვაგონი უნდა დაუთმოლარისის გზაზე მაკედონიის საჭიროებისათვისო. მინისტრ-პრეზიდენტთან მოლაპარაკების შემდეგ, გზათა მინისტრმა აცნობა, მზად გახლავართ თხოვნა აგისრულოთო.

სტოკჰოლმი. შვეციის მთავრობამ საგანგებო სარკინისგზო კომისია გაგზავნა ინგლისში, რომელსაც დავალებული აქვს გეტებორგსა და ინგლისის ნავთსადგურებს შუა ნავოსნობა მოაწესრიგოს. კომისია ინგლისში სამ კვირას დარჩება.

სტოკჰოლმი. კრისტიანზანდიდან იტყობინებიან: გრიმსბიდან მომავალი ნიკელით დატვირთული ნორვეგიის გემი „სტენ“-ი, გაჩხრეკის მოუხდენლად, გერმანელების წყალქვეშამ დაჰლუპა. ზედ მყოფნი შვეციის გემმა გადაარჩინა და კრისტიანზანდში მიიყვანა.

8 ღვინობისთვე.

ლონდონი. ეგვიპტეში მოქმედების ოფიც. ცნობა. მოგხარასთან, სამაიავის აღმოსავლეთით 6ე ვერსზე, ჩვენმა ქვეითა ჯარმა ცხენდაცხენ დაზვერა მოპირდაპირის ბანაკი. ორი ღამე უორან და შლამიან ადგილებში სიარულის შემდეგ, წაადგა მოპირდაპირის ძლიერს ბანაკს. ორი საათის ბრძოლის შემდეგ, მტერი უკუვაგდეთ. ჩვენი საფრენები მტრის ბანაკს ყუმბარებს აყრიდნენ. თხრილებში ვიპოვეთ 12 მოკლული. 16 ოსმალო დავატყვევეთ, წამოვიყვანეთ რამდენიმე აქლემი. ჩვენ 1 მოგვიკლეს, 2 დაგვიჭრეს.

პეტროგრადი. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოდან. რადგანაც მდ. ტორნეო ადიდდა და შვეციაზე ამანათების გზავნა შეუძლებელია, დროებით შესწყდა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში ამანათების მიღება შვეციაში გასაგზავნად. აგრედვე აღარ მიიღება ამანათები მტრის ქვეყნებში მყოფ ტყვეებისათვის გადასაგზავნად.

ძრისტიანია. გამომძღავნდა ნორვეგიის პასუხი მოკავშირეთა მიერ წარდგენილი პროტესტისა, რომელიც ნორვეგიის ნეიტრალ წყლებში სამხედრო და სავაჭრო წყალქვეშათა ნაოსნობის აკრძალვამ გამოიწვია. პასუხში ნათქვამია: მთავრობა უფლებას იტოვებს ნორვეგიის სანაპიროებში მოსულ მეომარ სახელმწიფოთა შეიარაღებულ წყალქვეშათა ნაოსნობა აკრძალოს. ეს უფლება ემყარება 30 ენკენისთვეს გამოცემულ მეფის გადაწყვეტილებას. სავაჭრო წყალქვეშა ნავებს კი კვლავ ნება აქვთ ნორვეგიის წყლებში ნაოსნობისა, მხოლოდ წყალზედ უნდა ისრიალოს და ბაირაღიც აფრიალებული უნდა ჰქონდეთ. მთავრობა უფლებას იტოვებს, რომ ეს წესიც შესცვალოს, თუ დარწმუნდა რომ სავაჭრო წყალქვეშათა ნაოსნობა ნეიტრალ სახელმწიფოთათვის სახიფათო იქნება.

ძაირი. ქაირსა და ალექსანდრიაში რუსეთის კონსულმა ბრძანება გასცა, ეგვიპტეში მყოფი რუსის ქვეშევრდომნი ვალდებულნი არიან ინგლისის ჯარში ჩაერიცხონო.

ბაზელი. რადგანაც გერმანელი მფრინავები ხშირად დაჰფრენენ შვეიცარიის არე-მარეზე, გაზეთები თხოულობენ მთავრობამ ენერგიული პროტესტი განაცხადოს ნეიტრალობის დარღვევისათვის.

მუნქენი. სილინის მიდამოებში, მეხის მახლობლად, ჩინეთის ჯართან შეჯახების დროს მოჰკლეს ბაბუჩანი, ყოვლისა პედაგოგები, კათოლიკური და ლუტერანული მღვდლები, შემდეგ ურიცხვი სოვდაგრები, მექარხნეები, ფინანსისტები, ჟურნალისტები, პუბლიცისტები, ეკონომისტები, ისტორიკოსები, მეტაფიზიკოსები და ბოლოს განსაკუთრებით სამხედრო კასტა, იუნკრები სულ პატარა მხედრიდან დაწყებული ვილჰელმამდე. მთელი ერია დაწყებული ვილჰელმამდე. გერმანელებს შეშვენით რომ ისინი მონებათ აქციონ... ას ერთი მილიარდი უნდა განაწილებულ იქმნას ას ერთ წელიწადზე, რათა გერმანელების მომავალმა თაობებმა იგრძნონ მამა-პაპათა შეცოდების სიმძიმე“.

მეორე უფრო ცნობილი მეცნიერი პარიზელი პროფესორი ოლარი თეორეტიულად ასაბუთებდა მტრებისადმი ულმობელობას: „ეგრედ წოდებულს ეროვნულს პრინციპს შეიძლება ტირანიული შედეგები მოჰყვეს, მიტომ რომ ის უზარმაზარი სახელმწიფოების შექმნას გამოიწვევს, რაიცა საფრთხეს წარმოადგენს მთელი ქვეყნის თავისუფლებისათვის. თვით ხალხთა თავისუფლების პრინციპი ზომიერად უნდა ვახმაროთ და არა დონკიხოტურად ან გაუფრთხილებელი პროპაგანდისტების მსგავსად“. ამ ოდნავ მიკიბულ მოკიბული სიტყვებიდან ის უბრალო პრაქტიკული დასკვნა გამომდინარეობდა, რომ ოლარის სამშობლოს უფლება ეძლეოდა გერმანელებისა და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ სწორედ ისევე ემოქმედა, როგორც თვით გერმანელები ელზასლორენისა, ბელგიისა, შლეზვიგ-ჰოლშტეინისა და პოზნანის წინააღმდეგ მოქმედებდენ.

სხვა დროს ასეთ სიტყვებს გერმანელებისთვის დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა. ომის დაწყებამდე როგორც გერმანელი ისე ფრანგი შოვინისტები ხშირად უფო მკაცრ სიტყვებს ხმაროდნენ ურთიერთ სიძულვილის გამოსახატავად, მაგრამ მათი ქადაგება გამოხმაურებას არ პოულობდა ხალხის ფართო წრეებში. დღეს თვით ხალხია გააფთრებული. ცხადია, რომ სისხლის სუნით და თოფის წამლით დამთვრალი ლაშქარი დიდს სათნოებას არ გამოიჩენს დამარცხებული მტერისადმი, თუ მორადიკალე და მოდემოკრატე პროფესორები მას მონობასა და ბაზარში გაყიდვას უქადიან. ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს მნიშვნელოვანი საშუალებებიც გააჩნიათ ამგვარი მუქარის განსახორციელებლად. მათ ხმარებაზეა რიცხვის ძალა. მცხოვრებთა რაოდენობით რუსეთი თითქმის სამჯერ სჭარბობს გერმანიას, ინგლისი ახალშენებით თითქმის ხუთჯერ. საფრანგეთში და იტალიაში ერთად იმდენი სული სცხოვრობს, რამდენიც ავსტრო-უნგრეთში, ოსმალეთში და ბულგარეთში. მაშასადამე, შეთანხმების სახელმწიფოებს ბევრად მეტი ლაშქრის გამოყვანა და შეიარაღება შეუძლიანთ, ვიდრე გერმანიას და მის მოკავშირეებს.

არა ნაკლებ სამედისწეროა მეორე დიდი უპირატესობა ოთხთა შეთანხმებისა. ომის დაწყებისთანავე ინგლისმა თავისი ძლიერი ფლოტის შემწეობით ადვილად შეკრა გერმანიის ზღვის ნაპირები. აღმოსავლეთით რუსის არმიამ რკინის სალტი შემოარტყა ცენტრალურ სახელმწიფოებს. ამგვარად გერმანია უცებ მოსწყდა გარეშე ქვეყანას, რომელიც მას თავის პურითა და სანოვაგით ჰკვებავდა და მისი მრეწველობის ნაწარმოებებს ასაღებდა. წინადწინვე ცნობილი იყო რომ გერმანიის ომის დაწყებისთანავე ინგლისის ფლოტი გადატყდეს და მაშინ საბოლოოდ გამოირკვევა, რუმინეთი იძულებული გახდება აქ შეტევითს ბრძოლაზე ხელი აიღოს და თავისი მიწა-წყლის დაცვას დაადგეს, თუ ფალკენჰაინს დასჭირდება მოგერიებითს ბრძოლაზე გადასვლა. უეჭველია, ახლო მომავალში, ჩვენის მხრივ უნდა დაიწუროს ფართე მანევრი, რომელმაც შეიძლება გადამწყვეტი გავლენა იქონიოს ტრანსილვანიის ბრძოლაზე.

ვილჰელმის ბრძანება.

„ტაიმს“-ში მოთავსებულია ვილჰელმის გამოცემული ბრძანება ამ წლის 28 მარიამობისთვის თარიღით. ამ ბრძანებაში ვილჰელმი მადლობას უხდის გერმანელ მუშებს სკაგერაკთან (იუტლანდია) მომხდარ საზღვაო ბრძოლაში დაზიანებულ გემების შეკეთებაში საგან. ბრძანებაში, სხვათა შორის ნათქვამია: კრუპის გემთა საგები ქარხნები და სხვა ქარხნებიც, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ დაზიანებულ გემების შეკეთება, დიდის გულმოდგინებით და თავგამოდებით მუშაობდნენ, რის მეოხებითაც გერმანეთის სამხედრო ფლოტი კვლავ მზად არის მტრის საძებრად სრულის შეიარაღებით ზღვაში გასცუროს. ბრძანებიდან ირკვევა, რომ გერმანელების დაზიანებულ გემების შეკეთებას სამი თვე მოანდომეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გერმანელებს საუცხოო სახელოსნო ქარხნები აქვთ გემების შესაკეთებლად. ბრძანებაში ნათქვამია, განახლებული ფლოტი ზღვაში უნდა გავიდესო. გერმანეთის ფლოტი 6 აგვისტოს კი გავიდა ზღვაში, ხოლო არ იციან ეს ბრძანება ამ გამოსვლას ეხება, თუ გერმანელებმა ფლოტის აღლუმი გამართეს სხვა დროსაც.

გვირაბი ბოსფორის ქვეშ.

ინგლისელებს უკვე გაჰყავთ გვირაბი დუვრის სრუტის ქვეშ ინგლისა-საფრანგეთის შესაერთებლად. ეხლა გერმანელებს განუზრახავთ გვირაბი გათხარონ ბოსფორის ქვეშ და ბაღდადის რკინის გზა შუა ევროპას შეუერთონ. გაზ. „ტეგლიხე რუნდშაუ“ ამის თაობაზე სწერს: დღევანდელმა ომმა ნათელჰყო გაბმულ რკინის გზის ღირსებანი. ამას გარდა, ოსმალების ჯარის კაცები დღეს იბრძვიან როგორც სომხეთში, მესოპატამიაში და სინას ნახევარ კუნძულზე, ისე გალიციისა, ვოლინისა, დობრუჯისა და მაკედონიის ასპარეზზე. ამისათვის საჭიროა მუდმივი თავისუფალი გზა ჯარის სწრაფ გადასაყვანად. ამისათვის გერმანეთის სავაჭრო საზოგადოება გულმოდგინედ შეუდგა ბოსფორის ქვეშ გვირაბის გაჭრას. ეს გვირაბი იმ ხიდის მაგიერობას გასწევს, რომელიც განზრახული ჰქონდა გადაედოთ რუმელისა და ანატოლი-გისაროს შუა. ამ ხიდის სიგრძე 700 საჟენი უნდა ყოფილიყო. ამ ხიდის გადებას ბევრი ტეხნიკური დაბრკოლება გადაეღობა. ამის გამო ეხლა ბოსფორის ქვეშ გვირაბის გაჭრა გადასწყვიტეს, მით უმეტეს, რომ ნიას თავისი საკუთარი ხორბალი და სურსათი დაახლოვებით ცხრა თვის განმავლობაში ჰყოფნის. რადგან ომი 1914 წლის ივლისში დაიწყო, გონება მახვილმა ეკონომისტებმა დაასკვნეს რომ დაახლოვებით 1915 წლის აპრილში თუ მაისში შიმშილით ღონემიხდილ გერმანელებს იარაღი უნდა დაეყარათ.

გაჭირვება მამაა გამოგონებისაო, ნათქვამია. გერმანელებს თავი მოაქვთ იმით, რომ ისინი გამტანი არიან და ადვილად არ ეძლევიან სასოწარკვეთილებას. მართლაც უმედობა ბუნებრივი გრძნობა უნდა ყოფილიყო მათ მდგომარეობაში. გერმანია რკინის მუხრუჭში მოჰყვა. უდიდესი კოალიცია, რომელიც ოდესმე დედამიწის ზურგზე წარმოშობილა, მის წინააღმდეგ აღიჭურკა. გერმანია დაემსგავსა რკინის გალიაში მომწყვდეულ, გაფთრებულ ნადირს. მისი ენერგია გააასკეცა ჭირლობე მა და შიმშილის აჩრდილმა. და ავაზისებური შმაგი ნახტომებით ის შეეცადა რკინის სვეტებისა თუ სალტების დამტვრევას.

გაუფრთხილებელი ჯადოქრების მსგავსად ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებმა ქვესკნელიდან გამოიწვიეს გერმანელი ერის ბოროტი გენია, რომელმაც მოულოდნელი და საშიში აღმოჩენების შემწეობით ლამის გადაატრიალოს ძველი ევროპის საუკუნოებრივი კულტურა. მგოსანთა და მოაზრეთა ქვეყანა მახვილის მჭედელთა და თაყვანისმცემელთა ქვეყანათ იქცა. უნივერსიტეტების ლაბორატორიები, ქემიური წარმოების ფაბრიკები, სამეურნეო და სამრეწველო მანქანების ქარხნები სამხედრო მასალის დამზადებას შეუდგნენ, მეცნიერებმა და აღმოჩენებმა პირიდან ჩამოიცალეს ჩვეულებრივი ნიღაბი სათნოიანი კეთილისმყოფელებისა.

რა ხდება გერმანიაში, ჩვენ არ ვიცით დაწვრილებით. კანტიკუნტათ მოსული ცნობები ტენდენციურად შერჩეული და უსრულოა ბუნებრივად. მაგრამ ამ ნაწყვეტი ცნობების მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გერმანიის ტეხნიკასა და სოციალურ ცხოვრებაში ხდება უდიდესი რევოლუცია, რომლის მსგავსი ადამიანთა ტომს იშვიათად მოსწრებია. შეიძლება მკითხველს ბავშვობაში ჟიულ ვერნის და უელსის რომანები წაუკითხავს, ან სოციალურ უტოპისტებისა და რეფორმატორების იდეებს გასცნობია ჰაბაკური გატაცების ხანაში. სწორედ ამ ფანტასტიურ და უტოპიურ იდეებს ესხმება სინამდვილის სისხლი და ხორცი თანამედროვე ფხიზელს და კონსერვატიულს გერმანიის იმპერიაში. „ოცი ათასი მილი წყალქვეშ“ გუშინ მხოლოდ რომანის სათაური იყო, ისევე როგორც „ჰაერში ბრძოლა“: დღეს ორივე ცხად რეალობათ იქცა გერმანელ წყალქვეშა ნავებისა და ცეპელინების შემწეობით. რეალობათ იქცა აგრეთვე ერთგვარი სახელმწიფოებრივი სოციალიზმი, რომელიც წარმოებისა და აღებ-მიცემობის მოწესრიგებაში და მოსახმარ ნივთების განსაზოგადოებრივობაში იხატება. ბოლოს რეალობათ იქცნენ მანქანის ადამიანები ლითონისებური შთაგონებით, რომელთ შესახებ ოცნებობდნენ ზოგიერთი რაციონალისტები და ფუტურისტები.

უახლოესი საკითხი, რომელიც გერმანიას ომის დაწყებისთანავე უნდა გადაეწყვიტა, პურის საკითხი იყო. ცნობილია, რომ გერმანიის მთავრობა ომის დაწყებამდე ორი წლით ადრე ფიქრობდა სტრატეგიული ნაკრძალების შექმნაზე. ომის დაწყებისთანავე გერმანიის მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ ყველა ფქვილი და პური ნაკრძალებში შეეტანათ. ამ ბრძანებით ფქვილის ფასი ორმაგად გაიზარდა. ფქვილის ფასის ასეთ ხტომას ხალხი ვერ გაუძლებდა. ამიტომ მთავრობამ ფქვილის ფასი ისევ ძველებურად დააწესა. ამ ბრძანებით

აუწევიათ ბინებზე, თუმცა ფასის აწევის ტენდენცია, ეჭვს გარეშეა, არსებობსო.

ხამკურნალო მცენარეულობანი. მიწადმოქმედების დეპარტამენტის მიერ შემდგარ საგანგებო კომიტეტმა გაგზავნა მოსკოვში ქალაქთა კავშირის სახელზე 100 ფუთი სპარსული ფხვნილი გვირილისაგან დამზადებული, 5 ათსი ფუთი ზეთის თესლი და 2 ათასი ფუთი შვინდის კერკი.

ქინაქინას მოყვანა. მიწ. მოქ. დეპარტამენტმა ბათომის ბოტანიკურ ბაღს გაუგზავნა 2 ათასი მანათი სამკურნალო მცენარეულობის სანერგის მოსაწყობად, განსაკუთრებით კი ქინაქინის ხის მოსაშენებლად.

მომხმ. ამხ. თბ. გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს თიანეთ. მაზრის სოფ. თელათსოფლის მცხოვრებლებმა მომხმარებელ ამხანაგობის დაარსების შესახებ ამ სოფელში.

შავი ქვის გაზიდვა. 1 იანვრიდან ამა წლისა 1 მკათათვემდე ფოთის ნავთსადგურიდან გაუზიდიათ 459250 ფუთი, ღირებული 183700 მანეთად.

დაჭრილთა ევაკუაცია. დღეს 9 ღვინობისთვეს ნავთლუღის საგანმანაწილებელ ჰოსპიტლიდან სასანიტარო მატარებლით მიჰყავთ ჩრდილო კავკასიაში დაჭრილ და დაავადებულ მხედართა ახალი წყება.

ქართული დაწესებულებანი

დედათა ეპარქ. სასწავლებლის გამგემ კნ. ნ. თავდგირიძისამ თხოვნით მიმართა ქ. საქვ. საზ. გამგეობას რათა მან აღმოუჩინოს დახმარება დედათა ეპარქიულ სასწავლებლის მოწაფეებს, რომელთა მშობლები დაზარალდნენ ომის გამო. მმასთანავე კნ. თავდგირიძისა აუწყებს, რომ შარშან მათი თხოვნა დასახელებულ პირთა შესახებ შეწყნარებულ იქმნა მთავარ გამგეობის მიერო.

თავშესაფარის მოწაფეთა ტანთსაცმელი. ქარ. საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობამ გაუგზავნა ახალციხისა და უდის თავშესაფარში მოთავსებულ 50 ბავშვის ყოველგვარი საზამთრო ტანისამოსი, ხოლო ბათომის თავშესაფარს 25 ბავშვისთვის.

თავად-აზნაურთა საკრებულოსთან არსებულმა საერობო ბიურომ დაადგინა სთხოვოს ბ-ნ ივ. გომართელს შეადგინოს სახალხო წიგნაკი ერობის მნიშვნელობა-საჭიროებისათვის ჩვენში. ბიუროს აზრად აქვს ეს წიგნაკი 20.000 ცალამდე დაბეჭდვინოს და გაავრცელოს ხალხში.

საგანგებო კრება. დღეს, 9 ღვინობისთვეს, ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაა დანიშნული. კრებამ უნდა აირჩიოს 2 წარმომადგენელი, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ პეტროგრადში სახელწიფო საბჭოს წევრების არჩევნებში.

საზოგადო კრება. ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია 16 ღვინობისთვისათვის. ნებართვა უკვე აღებულია. კრებაზე საზოგადოების განყოფილებათა წარმომადგენელნიც არიან მოწვეულნი.

ქალაქის დაწესებულებანი.

ქალაქის თვითმართველობას მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ნავარაუდევი ჰქონდა შემოსავალში სატრაქტირო გადასახადი 80.000 მან. ამ თანხის ანგარიშში 1 ენკენისთვემდის შემოსულა 61.080 მან. 28 კაპ. მომავალ 1917 წლისათვის ქალაქის გამგეობა სატრაქტირო გადასახადის გადიდებას აპირებს 124 280 მანეთამდის. ეს თანხა გამგეობის პროექტით ასე იქნება განაწილებული: მაგარ სასმელებით მოვაჭრე 4 პირველ ხარისხოვანი რესტორანი გადაიხდის 12,000 მან., 8 კლუბის ბუფეტები 36,000 მანეთს, 5 სასტუმრო, რომელთაც მაგარი სასმელებით არ ვაჭრობენ, 56,280 მ. ეს პროექტი ახლო მომავალში წარედგინება საბჭოს განსახილველად.

ხოლერა. 8 ღვინობისთვეს, დილის 8 საათზე, ქალაქთა ლაზარეთში № 40 იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 37 და ხოლერის ნიშნებით 2 კაცი. 3 ღვინობისთვეს ლაზარეთში მოიყვანეს მიხეილის საავადმყოფოდან ხოლერიანი 1, ხოლერის ნიშნებიანთაგან გადარიცხეს 1, გარდაიცვალა 1 კაცი. ამავე დღეს ხოლერის ნიშნებით გარდაიცვალა 1 კაცი.

ქალაქთა კავშირის ბათომის რაიონის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა კავშირის წინაშე, რომ მისცეს მას 443,766 მანეთი ხარჯების გასაძღოლად მიმდინარე წლის დამლევამდე.

სასულიერო უწყებაში.

სამისიონერო კრება. 6 ღვინობისთვეს ალექსანდრე ნეველის ტაძრის სამისიონერო დარბაზში, სადაც ცნობილი დეკ. გოროდცევი მოღვაწეობს, შესდგა კრება, რომელზედაც პირველად იქმნენ მიწვეულნი ქართულ საბლაღოჩინოების წინამძღვარნი. კრება ერევნის ეპისკ. დამიანემ გახსნა და სექტანტების საფთხე დაასურათა. შემდეგ ცნობილ მისიონერმა ა. ი. პლატონოვმა წაიკითხა მოხსენება სარწმუნოება-ზნეობრივ მდგომარეობის შესახებ სამღვდელოებისა და ინტელეგენციის შორის და მათ წინააღმდეგ გაილაშქრა. ინტელეგენციის მხრივ პასუხი გასცა პლატონოვს ბ-ნ ა. ი. ნატროშვილმა, მაგრამ ბოლომდის ლაპარაკის ნება აღარ დართო თავმჯდომარემ. კრების გაგრძელება 13 ღვინობისთვეს გადიდო.

სიონის ღვთ.-მშ. ძმობის თავმჯდომარედ დაინიშნა დეკ. მ. ტყემალაძე ნაცვლად ყოვლ. სამღ. ანტონისა. თავმჯდომარის ამხანაგად დეკ. კ. ცინცაძე, ხოლო ხაზინადრად დეკ. ნ. მაჭარაშვილი.

სამრევლო სკოლების საოლქო სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ეპ. ერევნისა დამიანე, ნაცვლად ყოვ. სამღ. ანტონისა.

დეპუტაცია არქიელთან. 7 ღვინობისთვეს საქართველოს ექსარხოსთან თბ. დედათა საეპარქიო სასწავლებლის უფროსის კნ. თავდგირიძის მეთაურობით წარსდგა დეპუტაცია და სთხოვა დედათა საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორად დეკ. კ. ცინცაძის დანიშვნა. არქიელმა უარი გაუცხადა დეპუტაციას, ვინაიდან დეკ. ცინცაძეს დიდი მრევლი ჰყავს და ვერ შესძლებს ამ თანამდებობის აღსრულებასაო.

პეტრე-პავლეს ტაძარში, ახლად დანიშნულ მოძღვარ მღ. ი. შუბლაძეს ყოველ კვირა-უქმე დღეებში მოუწყვია თეოდოროსის ღვთ.-მშობლის ხატის წინაშე პარაკლისები დაუჯდომელით სლავურ ენაზე. ეს ეკლესია კი თვის სასაფლაოთი როგორც ვიცით სრულ ქართულ სამრევლოს წარმოადგენდა და დღესაც საკმაო რიცხვი მრევლისა ქართველობისაგან შესდგება. ნეტა რას ფიქრობს მ. შუბლაძე ამ სამწყსოს ქართველების შესახებ?

საქართველოს ექსარხოსმა დეპეშით სთხოვა სინოდს, დააჩქაროს გამოგზავნა 10 მილიონ თანხიდან, რომელიც იმპერიის სამღვდელოებისათვის გადაიდო, საქართველოს ეპარქიის ხვედრი წილი ფულისა საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების შესანახად. ამ ათ მილიონიდან საქართველოს საექსარხოსოს 1 მილიონამდე მოსდის.

სხვა და სხვა ამბები.

სახალხო და სამავშვო კითხვები. კვირას, 9 ღვინობისთვეს, ილია ნაკაშიძე წაიკითხავს სოფ. ოქროყანაში: 1) თავის მოგზაურობას სამეგრელოსა და აფხაზეთში ბუნდოვანი სურათებით. 2) როგორ შველიან და ეხმარებიან ევროპაში ზღვის ღელვის დროს გაჭირებაში ჩავარდნილ გემებს და 3) მეფის სიზმარი, ოსკარ უალდისა.

კვირასვე, ივანე როსტომაშვილი წაიკითხავს ვერაზე, უფასო სასადილოში (მატერიალნი ქ. № 16): 1) რისაგან იხოცებიან ბავშვები უდროოდ და 2) აკაკი წერეთლის თხზულებას „ვაჭრული ჭკუა“. შესვლა უფასოა. დასაწყისი დილის 11 საათზედ.

ვალ. გუნიას მდგომარეობა ამ ჟამად სერიოზულად არის ცნობილი. ავადმყოფი ცუდათ გრძნობს თავს. მოწვეულია საგანგებო კონსულიუმი.

თბილისის კოოპერატივმა თვის წევრებისათვის ამერიკის ფეხსაცმელი გამოიწერა. ამ ფეხსაცმელს კოოპერატივი არა უადრეს მომავალ წლის მარტისა ან აპრილისა მიიღებს. ამ ჟამად კოოპერატივი თვის წევრებს, რომელთაც ფეხსაცმელის მიღება სურთ, 5 მახეთ ბეს ართმევს.

ანტოკრისაგან

ხელის მომწერთა და ძველი ნომრების დამკვეთთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ: იანვრიდან დღემდე „საქართველოს“ რედაქციას არც ერთი ნომერი ზედმეტი არ მოეპოვება.

დეკანოზი კორნილი კეკელიძე

(რექტორად დანიშვნის გამო)

(დასასრული)

მხოლოდ იყო ერთი სფერა, რომლისთვისაც მამა კორნილის არც ერთხელ არ უღალატნია, სახელდობრ მეცნიერება და კერძოდ მშობლიური საეკლესიო მწერლობა. აგერ ათ წელიწადზე მეტია, იგი აქვეყნებს და ამზეურებს ძველის ქართული საეკლესიო მწერლობის მდიდარ საუნჯეს და მისი მეოხებით ევროპამ ბევრი ისეთი სალიტერატურო ნაშთი გაიცნო, რომელიც მეცნიერებაში დაკარგულად ითვლებოდა. მოგვყავს მის ნაწერთა სია:

1. Литургическіе грузинскіе памятники въ отечественныхъ книгохранилищахъ и ихъ научное значеніе. 1908 წ. ამ თხზულებისათვის ავტორმა აკადემიაში ჯერ პირველი საღვთისმეტყველო ხარისხი (კანდიდატობა) მიიღო და შემდეგ მაღისტრობა.

2. Іерусалимскій Канонарь VII вѣка, грузинская версія. ეს გამოკვლევა სამეცნიერო აკადემიამ დააჯილდოვა 500-მანეთიანი პრემიით.

3. Древне-грузинскій Архіератиконъ. გამოკვლევა და ქართული ტექსტი. ეს თხზულება უკვე ფრანგულად და ინგლისურადაც გადასთარგმნეს.

აქ ჩამოთვლილი სამი თხზულება ცალკე წიგნებადაა გამოსული. ამათ გარდა კიევის სასულიერო აკადემიის ჟურნალში დაიბეჭდა შემდეგი შრომანი:

4. Къ вопросу о времени празднованія Рождества Христова въ древней церкви.

5. Къ вопросу о важности изученія древне-грузонской письменности.

6. Симеонъ Метафрастъ по грузинскимъ источникамъ. (ფრანგულად გადათარგმნეს).

7. Эпизодъ изъ начальной исторіи египетскаго монашества.

8. Новооткрытый памятникъ иконоборческой эпохи.

9. Свѣдѣнія грузинскихъ источниковъ о преподобномъ Максимѣ Исповѣдникѣ.

უკანასკნელი ხუთი წელიწადია რაც მამა კორნილი თავის ნაწერებს ათავსებს სამეცნიერო აკადემიის გამოცემებში:

10. Іоаннъ Ксифилинъ, продолжатель Симеона Метафраста.

11. Историко-оріографическіе отрывки.

12. Житіе Іоанна, каталикоса Урхайскаго.

13. Грузинская версія арабскаго Житія Св. Іоанна Дамаскина.

14. Житіе Петра Новаго мученика Капетолійскаго.

15. Житіе Агаѳангела, Католикоса Дамасскаго.

„საქართველოს სასულიერო მახარობელში“ დაიბეჭდა:

16. Литургическая справка объ автокефаліи грузинской церкви;

და 17. ანტონი კათალიკოზის სალიტურღიკო მოღვაწეობა.

18. დაბეჭდილია სამეცნიერო აკადემიის მიერ და მოკლე დროში გამოვა თხზულება: Житіе преподобнаго Тимоѳея Стилита.

19. თბილისში ბეჭდავს სამეცნიერო აკადემიის მონდობილობით და ხარჯით ვრცელს, რვა ტომად ნავარაუდევს, სერიას: „Studia hagiographica Georgica“.

ამას გარდა მონაწილეობას იღებს ქართულ საღვთისმსახურო წიგნთა შესწორება-გამოცემაში. მისი მონაწილეობით გამოიცა:

20. ქართული „სამღვდელმთავრო კონდაკი“ რომელიც პირველად დაიბეჭდა ქართულად.

21. ქართული კურთხევანი (დაბეჭდილია და მალე გამოვა).

22. ამჟამად მამა კორნილი მუშაობს სადოქტორო თხზულებაზე „ეკლესიასტის განმარტება“ მიტროფანე სმირნელისა, თარგმანი იოვანე პეტრწისა.

მამა კორნილის სამეცნიერო ღვაწლი სამართლიანად დაიფასა ადგილობრივმა უმაღლესმა სასწავლებელმა, თფილისის ქალთა კურსებმა, რომელმაც იგი მიიწვია ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო ისტორიის კათედრაზე.

ამავე დროს მამა კორნილი წევრია თითქმის ყველა ადგილობრივი სამეცნიერო საზოგადოებისა და დაარსების დღიდან მოღვაწეობს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში“, სადაც ჰკითხულობს მოხსენებებს ძველ-ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორიიდან, აგრეთვე წევრია „საეკლესიო მუზეუმის კომიტეტისა“, რომლის საფასითაც გამოსცა „ძველ-ქართული არქიერატიკონი“ და სხვანი.

დღეს იგი ჯანღონით აღსავსე 38 წლის ახალგაზდაა და იმედია თავისის ნიჭითა და ენერგიით მომავალში კიდევ უფრო მეტს ღვაწლს დასდებს მეცნიერებას, სამშობლო მხარესა და მისი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს.

ჟეშმარიტად მისალოცავნი არიან თფილისის სემინარიის კორპორაცია და მოწაფენი, რომ ასეთი დიდად განსწავლული, სათნო ხასიათის მიქოლი და შრომის მოყვარე ადამიანი ეყოლებათ ხელმძღვანელად და უფროსად! მისალოცავია ქართველი სამღვდელოებაც, რომლის ღირსეული შვილი მთავრობამ დააფასა და ასეთს საპატიო და თან პასუხსაგებელს ადგილზე მიიწვია. ნუ დავივიწყებთ, ბატონებო, რომ აგერ ასი წელიწადი სრულდება, რაც თფილისის სასულიერო სემინარია არსებობს*) და დღემდე იქ რექტორად ქართველი არ ყოფილა. ნეტარხსენებულ ეგნატე ქუთაისელის მეფის მიერ დაარსებულ სემინარიის რექტორის დავით ალექსიძის შემდეგ ქართულ სემინარიას ქართველი რექტორი არ ახსოვს. და ჟეშმარიტად მადლობის ღირსნი ბრძანდებიან ყოვლადუსამღვდელოესნი პლატონ-ექსარხოსი და პეტროგრადის მიტროპოლიტი პიტირიმი, რომელთაც სძლიეს წინანდელ ექსარხოს-მიტროპოლიტთა ქართველებისადმი უნდობლობას და პასუხსაგებელი საქმე სემინარიის გამგებლობისა ქართველის სამღვდელოების ღირსეულ შვილს ჩააბარეს.

ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ რომ მამა კორნილი ღირსეულად შეასრულებს ნატვირთს მოვალეობას. მხოლოდ არ დავფარავთ რომ ამ შემთხვევაში მარტო მისი ენერგია, ჭკუა და ტაქტი, რომელნიც მას საკმაოდ აქვს მინიჭებული, ასეთი დიდი საქმისათვის არ იკმარებს: აქ საჭიროა შეერთებული და მძიმე მოვალეობის შეგნებაზე დამყარებული, შეთანხმებული მოქმედება მთელის ქართველი სამღვდელოებისა, თვით სემინარიაში მოსწავლე ქართველი ახალგაზდობისა და სემინარიის კორპორაციის ქართველი წევრებისა, საჭიროა მათის მხრით მუდმივი ზნეობრივი დახმარება, გამხნევება და წახალისება. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ რომ თფილისის სემინარიის ქართველი მოწაფენი, რომელნიც აქ მუდამ უმრავლესობას შეადგენენ, ღირსეულად ამოუდგებიან გვერდში თავის ღირსეულ რექტორს და მასთან ერთად საქვეყნოდ დაამტკიცებენ, რომ ამგვარის პასუხსაგები საქმის გაძღოლა აქ, ჩვენს სამშობლოში, ჩვენი ქვეყნის ღვიძლს შვილს უკეთ შეუძლია, ვინემ ცხრამთას იქიდან მოწვეულს და მუდამ იქითკენვე თვალის მჭრელს არაქართველს.

ძველი სემინარიელი.

*) დაარსებულია 1817 წელს რუსის მთავრობის მიერ.

ქართ. საქველმოქმედო საზოგადოება 1915 წ.

(მთავარი გამგეობის ანგარიშიდან)

(გაგრძელება)

დამხმარეთა მდგომარეობა.

ქართულ საქ. საზოგადოებას არ შეეძლო თავისი მოღვაწეობა გაესაზღვრა მარტო აქარლებისადმი ყურადღების მიქცევით და მათი დახმარებით. მთელ საქართველოში შიმშილობა მძინვარებდა, ზედიზედ ორი წლის მოუსავლობამ, სხვა მრავალ უბედურებასთან ერთად (ომი, წყალდიდობა) ხალხი წელში მოხარა. განსაკუთრებით საგრძნობელი ზარალი მიაყენა მოუსავლობამ დასავლეთ საქართველოს. ყველაზედ უფრო დიდი შიმშილობა იყო სამეგრელოსა და გურიაში, თუმცა არც სხვა კუთხეები იყო ამ მხრით ბევრათ უკეთესს პირობებში. მდგომარეობა დაუყონებლივ დახმარებას თხოულობდა. პროვინციიდან შეტყობინებანი მოდიოდა, რომ ხალხი ფიქრობს ხეხილის ფესვებით, ბალახით, ბოსტნეულით, ტყის ნაყოფით გაძლებას, ბევრი ოჯახი ბოსტნეულის ფოთლებით იკვებება, ბევრი ოჯახი

მაძრწუნებელი ცნობები მოდიოდა. საანკეტო ფურცელთა პასუხების, პრესის, გაგზავნილ რწმუნებულთა ცნობების და სხვა საშვალებით საზოგადოებამ დაახლოვებით გამოიკვლია შიმშილობის სიდიდე და ამის დაგვარათ მიიღო ზომები საკვების შემოტანის ორგანიზაციის მოსაწყობად. დამშეულთათვის სულ უკანასკნელი შვიდი რვა მილიონი ფუთი პური და სიმინდი იყო საჭირო საკვებად და სათესლედ. ბევრჯელ აღიძრა შუამდგომლობა ამ საყოველთაო უბედურების შესახებ. დაპირებაც ხშირათ მოვისმინეთ, მაგრამ ამით საქმე შორს არ წასულა. გარდა ამისა როგორც ქუთაისის განყოფილების მოხსენებით მტკიცდება, ადმინისტრაცია დამშეულად მარტო სამეგრელოს სთვლიდა, გურიას და ზემო იმერეთს მისი შეხედულობით სიმინდი არ აკლდა. ამ შემცდარი აზრის გაბათილება და წინააღმდეგის დამტკიცება იმიტომ იყო საჭირო, რომ მარტო საქველმოქმედო საზოგადოება ვერას გახდებოდა, თუ მთავრობა სიმინდს არ მიაწვდიდა დამშეულებს. ქუთაისის განყოფილების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს დამშეულთა კომიტეტში, რომელიც დეპუტატთა საკრებულოსთან არსებობდა ქუთაისში (თ. დ. ნიკარაძის თავმჯდომარეობით). ამ კომიტეტის და განყოფილების ზეგავლენით მთავრობამ ხელმეორეთ შეკრიბა ცნობები და გურიაც დამშეულ რაიონად აღიარა.

ამ საქმის მოსაწესრიგებლად და სახელმძღვანელოდ შეადგინა სასურსათო კომისია, რომელშიაც შედიოდენ თ-დი მ. ჯავჯავაძე, (თავმჯდომარე), თ-დი გ. დიასამიძე, დ. კახელაძე, ა. გრიგოლია, გ. გვაზავა, დ. ჩხეიძე. და ა. ლორთქიფანიძე. საზოგადოებამ და მისმა ქუთაისის განყოფილებამ რამდენიმე ვაგონი სიმინდი უსასყიდლოდ მიაწოდა დამშეულ რაიონებს. სადაც კოოპერატიული ცენტრები იყო, საზოგადოება მათ ურჩევდა სასურსათო საქმის გაძღოლას და თვით ეხმარებოდა პირველყოვლისა ვაგონების შოვნით და ხელის შეწყობით. სადაც ჯერ კიდევ არ არსებობდა კოოპერატიული ორგანიზაცია, იქ აუცილებელი გახდა კერძო კონტრაგენტების გაჩენა, საზოგადოებამ აირჩია ორი კონტრაგენტი ბბ. გ. განათოვი და ი. მიქაძე. პირველს შემოქონდა სიმინდი ქუთაისის გუბერნიაში, სულ მოიტანა 30 ვაგონი. დღეს იგი საზოგადოების კონტრაგენტად აღარ ითვლება და ვაგონები საზოგადოების დახმარებით აღარ ეძლევა. მეორემ შემოიტანა თბილისის გუბერნიაში პურის ფქვილი ორმოც ვაგონამდე. სასურსათო კომისიამ დიდძალი ხორბალი და სიმინდი დაიკვეთა სხვა და სხვა ფირმებისაგან. მაგრამ ძალიან ცოტას შემოტანა მოახერხა საანგარიშო წლის ბოლომდე, რადგან მდგომარეობა თანდათან გართულდა და დარკოლებები გაიზარდა.

წყალდიდობისაგან დაზარალებულნი

შიმშილს გარდა თითქმის საქართველოს ყოველ მხარეში და განსაკუთრებით სამეგრელოში, ლეჩხუმში და ქართლის ზოგიერთ რაიონებში ხალხს ახალი უბედურება დაატყდა თავს. არაჩვეულებრივმა წყალ-დიდობამ აოხრა მთელი კუთხეები. როგორც შეგვეძლო ისეთი დახმარება მივაწოდეთ უკიდურესად დაზარალებულებს. მთავარმა გამგეობამ და სარაიონო განყოფილებებმა არა ერთხელ აღძრეს შუამდგომლობა როგორც უმაღლესი მთავრობის ისე გუბერნატორების წინაშე, რათა წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის დახმარება აღმოეჩინათ. სამწუხაროთ შუამდგომლობის აღძრას არ მოჰყვა ფიცხელი განკარგულება დაზარალებულთათვის საჭირო ზომების მისაღებად, როგორც ეს მოსალოდნელი იყო.

გაიგზავნენ დაზარალებულთა რაიონებში საზოგადოების რწმუნებულნი ცნობების შესაკრებად. გადმოვლილმა წყალმა შლამი დასტოვა, სინესტემ და სიცხემ იმატა, ციებ-ცხელება და სხვა ავადმყოფობა გაძლიერდა. დაზარალებულებს სხვადასხვა რაიონებში გაეგზავნათ მცირეოდენი თანხა—სამი ათასს მანეთზე მეტი. ზოგიერთ დაზარალებულთათვის, როგორც ვთქვით სიშორეა სამოსახლო ადგილები. განსაკუთრებით ეს ითქმის ზუბელებზე. სოფ. ზუბი (ლეჩხუმის მაზრა) მეტად წვალებულია, მისი მცხოვრებლები აურილნი არიან და დაეძებენ სამოსახლო ადგილებს სხვა მაზრებში. ამ საქმის გაძღოლა, აურილთათვის შესაფერისი დასასახლებელი ადგილების გამოძებნელად ზომების მიღება თავის თავზე იდვა ქუთაისის განყოფილებამ.

ხალხი გვთხოვდა და გვთხოვს, როგორც წერილობით, ისე სიტყვიერათ, რომ უმთავრესი ყურადღება მიგვექცია მდინარეთა ნაპირების შეკეთებისა და გამაგრებისათვის. მთავრობასთანაც ამგვარ შუამდგომლობას გვავალებდენ.

ლტოლვილნი.

ამ უმაგალითო ომმა მრავალი ლტოლვილი (გადმოხვეწილი) და ომისაგან დაზარალებული წარმოშვა. კანონის მიერ ცნობილ და ომისაგან დაზარალებულთათვის მზრუნავ ორგანიზაციებს მიეცათ ხაზინიდან თანხები თავიანთ ლტოლვილთა დასაკმაყოფილებლად. ჩვენი საზოგადოება ასეთ ორგანიზაციათ იცვნეს. ფულიც გადმოსცეს მას ამ განსაზღვრული მიზნით. მაგრამ იმ თავიდანვე მოინდომეს ნათელი მდგომარეობის არევა. დასვეს ბოროტი საკითხი: ქართველობას ლტოლვილნი არ ჰყავსო, ქართველები არ დაზარალებულან და სხვ. ჩვენდა სამარცხვინოდ ამათ ზურგს უმაგრებდა და ესარჩლებოდა თავის ვითომ „უტყუარი“ ცნობების მიწოდებით ერთი-ორი ქართველი საზოგადო მოღვაწეც...

საზოგადოებამ საქმის ნამდვილი ვითარების გამოსარკვევად ზომები მიიღო, ბევრ ადგილას თავისი რწმუნებულები გაგზავნა.

ბათომში, ჭობულეთში, ზემო და ქვემო აჭარაში ბევრი იყო ლტოლვილი, განსაკუთრებით ომის და განადგურების პირველ თვეებში. ლტოლვილნი ბათომის ოლქიდან (აჭარლები, აფხაზები) იყვენ ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრებში და სოხუმის ოლქში. საზოგადოების დაახლოვებითი ცნობებით საერთოდ ბათომის ოლქში 15,000-მდე ლტოლვილი იყო პირველ ხანებში. უფრო სწორი და უტყუარი ცნობების შესაკრებად საჭირო შეიქნა სარეგისტრაციო მუშაობის დაწყება და გაძლიერება. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით ბათომის ოლქის ყველა მცხოვრები ომისაგან დაზარალებულად და დახმარების აღმოჩენის ღირსად იქმნა აღიარებული.

ყარსის ოლქში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებშიც ბლომად არიან ლტოლვილნი, განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანები. საერთო ვარაუდით თათრების შემოსევის დროს აქ 10,000-ზე მეტი უნდა ყოფილიყო. ყარსის ოლქში შემდეგში არ გვიწარმოებია სარეგისტრაციო მუშაობა, რომ შესაძლებელი გამხდარიყო სწორი ცნობების შეკრება. ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში სარეგისტრაციო მუშაობა სწარმოებს. ახალციხის სარაიონო განყოფილება ეხმარება 669 ლტოლვილს. გაჭირვება ერთობ დიდია. დასახმარებელი ლონის-ძიება ერთობ განსაზღვრული. აქაურ ლტოლვილთა დასახმარებლად საკმაო თანხა არ გადმოგვეცა, მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ოფიციალურად დაადასტურა ლტოლვილთა რაოდენობა და ახალციხის განყოფილების ზრუნვა მათზე. ახალქალაქის განყოფილება ეხმარება ჯერჯერობით 22 ოჯახს (133 სულს).

შავი ზღვის სანაპირო ადგილებიდან და ბათომის ოლქიდან ომის გამო, განსაკუთრებით შავ ზღვაზე მტრის სამხედრო გემების მოქმედების შემდეგ, მრავალმა ქართველმა მიატოვა თავის საცხოვრებელი ბინა, მუდმივი სამუშაო და მოაშურა უფრო უზრუნველყოფილ რაიონებს. შავი ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქები დაიცალა. იმ დროს საზოგადოების ცნობით 25,000-ზე მეტი ლტოლვილი იყო ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში. რამოდენიმე თვის შემდეგ, ზღვაზე მშვიდობიანობის დამყარებასთან ერთად გაფანტულმა ხალხმა თანდათან იწყო უკან დაბრუნება. მაგრამ ეს შესძლო და გაბედა მხოლოდ ნაწილმა. სხვა და სხვა ადგილებში საზოგადოების მიერ გახსნილმა სარეგისტრაციო პუნქტების მუშაობამ დაამტკიცა, რომ ლტოლვილთა რაოდენობა ახლაც დიდია. გურიაში ჯერ აღნიშნულია 600 ლტოლვილი. მათი რიცხვი გაცილებით მეტია, ოზურგეთის განყოფილების ცნობით. სენაკის მაზრაში 455 სულია აღნიშნული სიებში. ლტოლვილთა რიცხვი აქაც მეტია. ამას ამტკიცებს სარეგისტრაციო მუშაობა. სიებში შეტანილ ლტოლვილთ შეძლების დაგვარათ ეხმარებიან საზოგადოების სათანადო განყოფილებანი. სხვა ადგილებიდან ჯერკიდევ არ მოსულა სრული ცნობები.

ადმინისტრაციის ზოგიერთი პირი და საზოგადოების წინდაუხედავი თითო-ოროლა წევრი იმ აზრის იყო, რომ ბათუმის ოლქიდან და ზღვის სანაპირო ადგილებიდან გამოქცეულები ლტოლვილებად არ ჩაითვლებიან, რადგან ისინი თავის სამშობლოში დაბრუნდნენო, ეს გაუგებრობაა. კანონი არ ამბობს და ვერც იტყვის იმას, რომ ომის გამო სამშობლოს ერთი კუთხიდან ლტოლვილს—გადმოსულს და გაჭირვებულს იმავე სამშობლოს მეორე კუთხეში დახმარება არ უნდა გაეწიოს. ჩვენი ლტოლვილები სავსებით აკმაყოფილებენ კანონის როგორც ფორმალურ ისე არსებითი მოთხოვნას.

თბილისში საზოგადოება ყოველ თვიურათ ეხმარება 506 ლტოლვილს.

(შემდეგი იქნება)

მეც მოვისმინეთ

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზეთ „სამშობლოს“ კორესპონდენტის, ბ-ნ გიორგი მუმლაძის ჩემ მიერ ხელით შეურაცხყოფამ პრესისა და საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია და ეს ასეც უნდა მომხდარიყო; თვით მეც საჯაროდ ვაღიარებ ჩემი საქციელის უკულტურობას და პრესისა და საზოგადოების წინაშე გულწრფელ ბოდიშს ვიხდი. დიდათ ვწუხვარ, რომ უმართებულო საქმე ჩავიდინე, მაგრამ მეც ადამიანი ვარ და ვერ ავიტანე ადამიანის პიროვნების ყველაზე მეტად დამამცირებელი **დაშუშის** სახელი. ასეთ დაუმსახურებელ სახელის წოდებას ვერ ავიტანდი კერძო მუსაიფშიაც კი და მით უმეტეს ვერ ავიტანე გაზეთით წარმოთქმული, ამიტომ უკიდურესი აღელვების დროს იძულებული გავხდი თუმც უკულტურო საშვალებით, მაგრამ მაინც დამეცო თავი, შური მეძია.

ვიხდი რა განმეორებით ბოდიშს, (რასაკვირველია, არა ბ-ნ მუმლაძის წინაშე) უმორჩილესი თხოვნით მივმართავ გაზეთ „საქართველოს“, „სამშობლოს“ და „თანამედროვე აზრის“ რედაქციებს აღადგინონ სრული სიმართლე—ჰეშმარიტების გულისათვის დანიშნონ თავიანთ რედაქციებიდან თითო რწმუნებული, რომელიც გამოიძიებს, მართლა დავინსულხურე თუ არა ის ბრალდებანი, რასაც მე მაწერს ბ-ნი მუმლაძე გაზ. „სამშობლოში“, უკეთუ კომისია დამშნაშაევეთ მიცნობს, მზათ ვარ ჩემს თავს მევე მივუსაყო ღირსეული სასჯელი, უკეთუ კომისია მიცნობს ინტრიგისა და ჰორიკანობის მსხვერპლად, მაშინ იმედია პრესაც და საზოგადოებაც ჩემი საქციელის გამო ბოდიშს იკმარებს. გავმტყუნდები, თუ გავმართლდები, ყოველივე ხარჯს, რაც კომისიას საქმის გამოძიებაზედ მოუვა, ვკისრულობ, მე ვითხოვ გამასამართლოთ, ამას მოითხოვს ბეჭედითი სიტყვის პატივისცემაც.

ღრმად პატივისცემით

ალმასხან გ. კალანდაძე.

P. S. ვსთხოვ გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს.

ალ. კ—ძე.

—

დ. პ. გაზ. „სამშობლოს“ №№ ჩემი უცნობი მოამბე უდიერად ეხება ჩემს პიროვნებას და მე, როგორც მოლარეს ოზურგეთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისას, მიწასთან მასწორებს. მე ვარ ერთი უცოლშვილო კაცი, მართალია დიდი შეძლების პატრონი არა ვარ, მაგრამ არც იმდენზე ღარიბი ვარ, რომ ახალგაზრდობაში მონაგარი მოხუცების ჟამს არ მეყოს, მაგრამ თუ მაინც ვიკისრე მოლარეობა, ვიკისრე წევრების დაჟინებული თხოვნის შემდეგ და მგონია დღემდე არც რაიმე ზიანი მომიტანია. და ვინც იცნობს ბანკის საქმეებს და მიცნობს მეც, მისთვის „სამშობლოში“ დასტამბულ წერილებს მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ სიმართლის აღსადგენად მეც ვითხოვ ბ-ნ კალანდაძის საქმესთან ჩემი „დანაშაულიც“ გამოიძიონ პატივცემულ რედაქციების რწმუნებულებმა.

პატივისცემით ოზურ. საურ. ნდობის საზ. მოლარე **დიმიტრი მურვანიძე.**

ღერილი რედ. მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „საქართველოს“ მახლობელ ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა უღრმეს მადლობას სწირავს ქვემორე მოხსენებულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და დახმარება გაგვიწიეს როგორც თავიანთი წვლილის გაღებით, ისე ნაცნობ-მეგობართა შორის ფულის შეგროვებით ქალ. ოზურგეთში დ დებულ მგოსნის აკაკი წერეთლის ძეგლის დასადგმელ ფონდის სასარგებლოდ:

გრიგორი ჭიშვარდის ძე ურუშაძეს, რომელმაც შეაგროვა სიით № 25—32 მან. სია შემომწირველთა: ნადეჟდა კაშ-ბაძისა—1 მან., გიორგი ხოშტარია 2 მ., ანტონ გელაზაროვი 1 მ., მამედ ბეგი 2 მ., მ. კანდელაკი 1 მ., ივანე ბეჟიტაძე 1 მ., თამარ კაჩუხოვისა 1 მ, თამარ ჯაფარიძისა 2 მ., ოლღა სარჭისოვისა 2 მ., გრიგოლ ფრატულოვი 1 მ., მერი ანჯაფარიძისა 1 მ., გიორგი სიხარულიძე 3 მ., №№ 3 მ., დავით გედევანიშვილი 2 მ., ექიმი ბადრიძე 1 მ, შალვა მიქელაძე 2 მ., გიორგი ვაშაკიძე 1 მ., სილიბისტრო კონ. ლორთქიფანიძე 3 მ., მინადორა ავალიანისა 1 მ, ასლან ავალიანი 1 მ.

ნიკო გაბრიელის ძე ოთხმეზურს 5 მან.

სიმონ ანდრიას ძე ცენტერაძეს 5 მან.

ამასთან, უმორჩილესად ვსთხოვთ თანამგრძნობთ, ხელი შეგვიწყონ ამ ფრიად სიმპატიური საქმის დაგვირგვინებაში და დახმარება აღმოგვიჩინონ ვისაც რამდენ-თ შეუძლიან.

პატივისცემით ოზურგეთის ქალაქის მოურავი **თავ. დ. კ. ერისთავი.**

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

სამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	სფ. № 3,	11.03	დილ.
„	სამგზ. № 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ. № 17,	8.27	დილ.
„	სამგზ. № 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ. № 6,	11.13	დილ.
„	სამგზ. № 8,	3.54	დღ.
„	სფ. № 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ. № 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ	№ 4, 7 „	58 „	დილ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ. № 10,	9.52	დილ.
„	სფ. № 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ. № 20,	7.43	დილ.
„	სამგზ. № 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	სფ. № 3,	10.08	დილ.
„	სამგზ. № 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ. № 5,	8.48	საღ.
თელავიდან	№ 3, . 7 „	58 „	საღ.

თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქალალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსაგებაბურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
გინის გაჭრავება,
გინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ ცნობის პუნქტრას ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დალგართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს რომელსაც ძალაძელთა იხე ძალაძ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

ხილეული, მაღნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან უოველთვის მხოლოდ მიტრფცანე **ლაღიძის** და ამხ-ს ჭარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზრდილია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი **ლაღიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქუთაისში
ქარხნები
გ. ლაღიძე და ძმ.
საუკეთესო ხილეული წყალი
1901
მოწოდების ბრძ. № 4411
თბილისში

ქათრთულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო **ლაღიძის** წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ჯმე-შიჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

განცხადება

კახეთის რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ 1916 წლის 18 ღვინობისთვიდან სახალხო და საბარგო მატარებლების მიმოსვლა თბილის-თელავ-წნორის-წყალზე ყოველ დღე შემდეგის წესით იწარმოებს:

სახალხო-საბარგო მატარებელი თბილის-თელავში № 4
მე-II და მე-III კლ. ვაგონები.

სადგურების სახელები.	პეტროგრადის საათით. მოდის.	სდგას წ.	გადის.
თბილისი	—	—	8 დილის.
ნავთლუღი-ამიერ-კავკასიის	8—16	10	8—26
ნავთლუღი-კახეთისა	8—31	10	8—41
ვაზიანი	9—33	5	9—38
იორი	10—22	5	10—27
საგარეჯო	10—54	16	11—10
ბადიაური	11—52	5	11—57
მელაანი	1—05 ნაშ.-დღ.	10	1—15 დღე.
გურჯაანი	2—20	20	2—40
ვაჩნაძიანი	3—13	12	3—25
თელავი	4—00	—	—

სახალხო-საბარგო მატარებელი თელავ-თბილისში № 3
მე-II და მე-III კლ. ვაგონები.

სადგურების სახელები.	პეტროგრადის საათით. მოდის.	სდგას წ.	გადის.
თელავი	—	—	10—15 დილის
ვაჩნაძიანი	10—50	10	11—00
გურჯაანი	11—35	25	12—00 დღე
მელაანი	1—00 ნაშ. დღ.	10	1—10
ბადიაური	2—00	7	2—07
საგარეჯო	2—53	12	3—05
იორი	3—35	5	3—40
ვაზიანი	4—12	5	4—17
ნავთლუღი-კახეთისა	4—52	8	5—00
ნავთლუღი-ამიერ-კავკასიისა	5—05	5	5—10
თბილისი	5—26	—	—

სახალხო-საბარგო მატარებელი გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე № 3.

გურჯაანი	—	—	ნაშ. დღ. 3—00
კარდანახი	3—33	12	3—45
წნორის-წყალი	4—10	—	—

სახალხო-საბარგო მატარებელი წნორის-წყლიდან გურჯაანამდე № 5.

წნორის-წყალი	—	—	დილის 10—32
კარდანახი	10—55	6	11—01
გურჯაანი	11—30	—	—

1) მატარებელნი № 4 და 3 სართიჭალისა, კაჭრეთისა, მუკუზანისა და წინანდალის ბაქანებზე 2 წუთს ჩერდება.
2) მატარებელნი № 4 და 3 მელაანის სადგურზე შეხვდებიან.
3) **პეტროგრადის დრო ჩვენებურისაზე 58 წუთით უკან არის.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ქალანდაძისა, გამოცემის შესახვევი № 4.